ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

**27–31** იანვარი 1995 წ. ● №3 (10914)
ფასი 600 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

● გიხაროდენ! – საქართველოს 7 საფეხბურთო კლუბი ევროპაში გადის (მე-4 გვ.)

● ძიუდოს საჭესთან საიმედო კაცი დგას – ბიძინა მაზიაშვილი (1-2 გვ.)

● ანგარიშს აბარებენ სპორტული ფედერაციები (მე-2 გვ.)

● პელე მინისტრია და სხვა საინტერესო ამბები (მე-3 გვ.)

● კრივის სამყაროს პულსი (მე-4 გვ.)



შოთა იამანიძე! როგორღაც ანაზდად და უცბად შემოიჭრა დიდ ქართულ ფეხბურთში ეს სახელი, სახელი უაღრესად გამორჩეული, ალალ-მართალი, სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანისა, რომელმაც იმთავითვე გამოიჩინა თავი გამორჩეულ ოსტატთა შორის თავისი ორიგინალური, სპეციფიკური თამაშით, საკუთარი ხელწერით, ენერგიით და შემართებით. ჭეშმარიტი ქართველი იყო და ქართული ტემპერამენტითა და მგზნებარებით იბრძოდა მინდორზე, იბრძოდა მთელი არსებით, მთელი თავისი უნარით, შესაძლებლობით, გაჩერებული და დამორჩილებული, ბედს დამორჩილებული იგი არავის უნახავს თვით უაღრესად რთულ ვითარებაშიც კი.

განთქმული 35-ე სკოლის ოქროს პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერ კიდევ 17 წლისა შევიდა ძირითად შემადგენლობაში. გამოდიოდა ჯერ თავდასხმაში, შემდეგ ნახევარდაცვაში. გახლდათ ისეთი დიდოსტატის რჩეული პარტნიორი, როგორიც იყო ავთანდილ ღოღობერიძე. დიდხანს იყო დინამოელთა ღირსეული კაპიტანი.

შოთა იამანიძე! სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის **1964** წლის ჩემპიონი, **1959, 1962, 1967** წლების ბრინჯაოს მედლის მფლობელი, **1956** წლის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი. უმაღლეს ლიგაში **300** მატჩი ჩაატარა, **66** გოლი გაიტანა, **33** საუკეთესო ფეხბურთელის სიაში **1964** წელს პირველ ნომრად გავიდა; საკავშირო თასისა და უამრავი საერთაშორისო მატჩის მონაწილე.

შოთა იამანიძე! ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი შესანიშნავი ფეხბურთელი, რომლის სახელი სამარადისოდ დარჩება ჩვენი სპორტის მდიდარ ისტორიაში.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

## ჭირმა თავი ვერ დამალა ანუ ჩვენი ფედერაციების პრობლემებზე

სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარება, ხოლო ნაღვაწის მაღალ სპორტულ შედეგებში გარდასახვა, დიდ ორგანიზაციულ მუშაობას მოითხოვს. კომპლექსური საქმიანობა მრავალ წვრილმან თუ უფრო მნიშვნელოვან საკითხთა წყებას მოიცავს, რომელთა მცირემნიშვნელოვანი ნაწილიც კი პრობლემების რანგშია აყვანილი დღევანდელი ცხოვრების რთულ პირობებში. და თუ სპორტული ფედერაცია, სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, როგორღაც უმკლავდება პრობლემებს, ამაში უდავოა მართლაც ჯოჯოხეთური ძალისხმევა.

დაიწყო ახალი სპორტული წელიწადი. დაიწყო იგი შარშანდელის მძიმე მემკვიდრეობით, შესაძლოა ბევრისთვის უიმედოდ უპერსპექტივოდ. ასეთია ცხოვრების განაჩენი. და მაინც, ვინ როგორ გამოიარა 1994, ვინ როგორ აპირებს გაუმკლავდეს ახალი წლის სიძნელეებს, რაში ხედავს ხსნას. დღეს აღარ ვამბობთ რა გვინდა, საკითხი ასე დგას, რა შეგვიძლია?

ჩვენი სპორტული ფედერაციების გაჭირვება კარგად გვესმის. „ლელო" კვლავაც შეეცდება ისინი მარტო არ დატოვოს პრობლემებთან. თავს მოვალედ ვთვლით სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, მხარში ამოვუდგეთ მათ, გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია.

ჯერჯერობით ჩვენს გაზეთში ტრიბუნას თვით ფედერაციებს დავუთმობთ.

(იხ. მე-2 გვ).

## „დინამოს" გამდიდრების შანსი უჩნდება

შობა-ახალი წლის დღეებში, მაშინ, როდესაც უმრავლესობა სადღესასწაულო სუფრას ვუსხედით, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვნახეთ ეულად მოვარჯიშე ახალგაზრდა — ეროვნული კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში თამაზ ლაცაბიძე. თანამეგობრობის ტურნირისთვის ვემზადებიო — გვითხრა.

დიახ, მოსკოვში სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის" დახურულ დარბაზში 29 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით რუსეთის საფეხბურთო კავშირისა და რუსეთის სპორტის ეროვნული ფონდის თაოსნობით 16 გუნდი შეეცილება თანამეგობრობის „ჩემპიონთა თასს". მისი რეგლამენტი ასეთია:

I ჯგუფი: მოსკოვის „სპარტაკი", აზერბაიჯანის „თურანი", ლიტვის „ჟალგირისი", ტაჯიკეთის „სიტორა".

II ჯგუფი: თურქმენეთის „კოპეტ-დაღი", ლატვიის „სკონტო", ბელარუსის „დინამო", ყირგიზეთის „კანტ-ოილი".

III ჯგუფი: თბილისის „დინამო", მოლდოვის „ზიმბრული", ყაზახეთის „ელემეი", რუსეთის ოლიმპიური ნაკრები (ეს უკანასკნელი კონკურსგარეშე მონაწილეობს).

IV ჯგუფი: უკრაინის „შახტიორი", უზბეკეთის „ნორაფშონი", სომხეთის „შირაქი", ესტონეთის „ფლორა".

III ჯგუფის განრიგი: 29 იანვარი, „დინამო" — რუსეთის ოლიმპიური ნაკრები, „ზიმბრული" — „ელემეი". 30 იანვარი, „დინამო" — „ზიმბრული", რუსეთის ოლიმპიური — „ელემეი". 31 იანვარი, „დინამო" — „ელემეი", „ზიმბრული" — რუსეთის ოლიმპიური.

2 თებერვალს ჩატარდება ნახევარფინალები: ერთმანეთს შეხვდებიან 1 და II, III და IV ჯგუფის გამარჯვებული გუნდები. ფინალი დანიშნულია 4 თებერვალს.

წინა წლებთან შედარებით გაცილებით გაზრდილია საპრიზო ფონდი. ამჟამად იგი 100 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. გამარჯვებული გუნდი ამ თანხის 35 პროცენტს მიიღებს, ფინალისტი — 15-ს. დანარჩენი თანხა ტურნირში მონაწილე სხვა გუნდებზე განაწილდება.

## მოკრივეებმა სეზონი ირანით დაიწყეს

უსახსრობის გამო საშეჯიბრო ვაკუუმში, რომ იტყვიან, მისწრება იყო საქართველოს მოკრივეთა ნაკრების გამგზავრება ქალაქ ჩალუსში (ირანი), სადაც დაგეგმილი იყო საერთაშორისო ტური, მაგრამ სხვა ქვეყნები ჩალუსში ვერ ჩავიდნენ, რის გამოც ასპარეზობამ სამატჩო შეხვედრის (საქართველო-ირანი) ხასიათი მიიღო და [illegible] წარმატებით — 6:2. ჩვენებიდან გაიმარჯვეს გორელმა რამაზ ბებნაძემ (48 კგ.), თბილისელმა თამაზ ნკრიალაშვილმა (60 კგ.), თეთრწყაროელმა ბესიკ ვარძელაშვილმა (63,5), ქუთაისელმა მათე კოლუაშვილმა (67), თელაველმა მამუკა ხუტუაშვილმა (67), თბილისელმა ნიკოლოზ დავლიანიძემ (71). დამარცხდნენ ზურაბ კაკაბაძე (57) და ალექსანდრე ბერუაშვილი (91).

შემდეგ ქართველი მოკრივეები მიიწვიეს ქალაქ რაშში ორდღიან ოთხთა (თეირანი, მატანდარა, რაში, საქართველო) ტურნირზე. იქ თავი ისახელეს რ. ბებნაძემ, ბ. ვარძელაშვილმა, მ. ხუტუაშვილმა, ილია ტლაშაძემ და ა. ბეროშვილმა, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს.

— განსაკუთრებით კარგი საბრძოლო თვისებები გამოავლინა 17 წლის რამაზ ბებნაძემ, — თქვა საქართველოს დელეგაციის უფროსმა სერგო ბერძენიშვილმა (მასთან ერთად გუნდს ახლდნენ მწვრთნელები თამაზ კუჭავა და გენადი ვარძელაშვილი). საერთოდ, ტურნე მეტად სასარგებლო იყო ჩვენი მოკრივეებისათვის, რომლებსაც წლეულს საპასუხისმგებლო შეხვედრები ელით ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე. ჩვენს მოკრივეებს ფინანსურად დაეხმარა მუნიციპალური საწარმოს საიუველირო-სავაჭრო ფირმა „იაგუნდის" გენერალური დირექტორი ირაკლი მელაძე.

XXX

ქ. სუნდსვალში (შვეცია) 15 ქვეყნის მოკრივეების მონაწილეობით ჩატარდა „ა" კლასის საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს ღირსებას იცავდნენ გორელი გიორგი კანდელაკი, ფოთელები კობა გოგოლაძე (57 კგ) და გოჩა რუსია (60 კგ). კანდელაკმა და გოგოლაძემ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ახალბედა გ. რუსია კი III ადგილისთვის ბრძოლაში დამარცხდა.

## ახალი საერთაშორისო ოსტატი — სანდრო დგებუაძე

23 წლის ქართველი მოჭადრაკე სანდრო დგებუაძე ნოემბერ-დეკემბერში ბულგარეთში იმყოფებოდა, სადაც ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მას მანამდე უკვე ჰქონდა საერთაშორისო ოსტატის ორი ბალი და საჭირო იყო კიდევ ერთი საპატიო წოდების მისაღებად. ეს მან შეძლო კიდეც საკურორტო ქალაქ პანიჩიშჩეში, სადაც 10 მონაწილეს შორის ერთი დიდოსტატი (ივან რადულოვი) და 4 საერთაშორისო ოსტატი გამოდიოდა. მართლაც ჩინებულად წარმართა ძნელი შეჯიბრება ს. დგებუაძემ. მოიგო 5 (მათ რიცხვში რადულოვთან) პარტია და 4 ყაიმით დაასრულა. ამრიგად, ქართველმა მოჭადრაკემ 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ფიდეს უახლოეს კონგრესზე საერთაშორისო ოსტატის წოდებას მიიღებს. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს საერთაშორისო ოსტატებმა ბოგომილ ანდონოვმა (ბულგარეთი) და ანდრეას კოფიდისმა (საბერძნეთი).

სოფიის გაზეთებმა „დუმამ" და „ჩერნომორემ" აღნიშნეს ქართველი მოჭადრაკის ეს მიღწევა, „დუმამ" გამოაქვეყნა მისი პარტიის ფინალი ანდონოვთან, რომელმაც ფაქტიურად პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა.

## მილოცვა

გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამაგდარს, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს ავთანდილ გიორგობიანს.

# დავეხმაროთ, ვინც ღირებულებას ქმნის ქვეყნისთვის



ბიძინა მაზიაშვილი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა შარშან მარტის ბოლოს. არჩევანი უთუოდ სწორი იყო, ვინაიდან სწორედ მან იცის მშვენივრად ჩვენი ბიჭების შესაძლებლობები, აქვს მწვრთნელად მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება და, რაც მთავარია, თავისი საქმის გადადებული პატრიოტია. ერთი სიტყვით, დაშლილ და აწეწილ მეურნეობაში კაცი უკეთეს სელექციონერს ვერ ინატრებდა.

აგერ, თითქმის ერთი წელია, რაც ბიძინა მაზიაშვილმა ხელთ იგდო ქართული ძიუდოს მართვის სადავეები და მას თავისი ჭკუით, თავისი შეხედულებების თანახმად წარმართავს. ჩვენ, ბუნებრივია, დავინტერესდით რისი გაკეთება შესძლო დროის ამ შედარებით მცირე მონაკვეთში ახალმა მწვრთნელმა და მასთან საუბრის სურვილი გამოვთქვით. როგორც გამოირკვა მაზიაშვილს ბევრი რამ ჰქონია ჩვენთვის სათქმელი და ამიტომაც სიამოვნებით დათანხმდა ამ შეხვედრას.

● თუ არის რაიმე თვისობრივად ახალი და განსხვავებული თქვენს დღევანდელ მუშაობაში?

— ახალს ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვუწოდებ. ჩვენ მთელი სასელექციო მუშაობა გადატანილი გვაქვს ახალგაზრდებზე და მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით ეს არის ერთადერთი სწორი გზა, თუ მთავარ მიზნად ატლანტის ოლიმპიური თამაშები და მასში საქართველოს ძიუდოისტთა გუნდის სრული შემადგენლობით გამოსვლას ვთვლით. როცა ნაკრებში მუშაობას მოვკიდე ხელი ატლანტამდე დაახლოებით ორნახევარი წელი იყო დარჩენილი. ეს საკმარის დროდ მეჩვენა, რათა არ მიმეღო ნაუცბათევი და შეუმოწმებელი გადაწყვეტილებები (სხვათა შორის, ასე ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მწვრთნელი ცაიტნოტშია და გამოსავლის ძებნაში ბევრ ისეთ რასმე ედება, რაზედაც ადრე არც უფიქრია). ახლა, როცა თითქმის ერთი წელი გავიდა, ვხედავ, რომ ახალგაზრდობის პერსპექტივები და შესაძლებლობანი სწორად შემიფასებია. ამიტომ ბიჭებითაც კმაყოფილი ვარ, მათი შედეგებითაც და ჩემი ვარაუდის სისწორითაც.

● შედეგებით ვარ კმაყოფილიო, ბრძანეთ. ვისი და რომელი შედეგები გაქვთ მხედველობაში?

— მე მოგახსენებთ მხოლოდ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომლებშიც შარშან გამოვედით. ეს გახლდათ ევროპის მოზრდილთა ჩემპიონატი, მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში და სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლამ ამ ტურნირებში ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ძიუდო ჩვენში სამართლია-

იხ. მე-2 გვ.

# დავეხმაროთ, ვინც ღირებულებას ქმნის ქვეყნისთვის

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე.)

ნად ითვლება ელიტარულ სპორტად. აღნიშნულ შეჯიბრებებში ჩვენმა ძიუდოისტებმა რვა სხვადასხვა ღირსების მედალი მოიპოვეს, რაც ქართული სპორტის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ურიგო შედეგი.

რედაქციის კომენტარი. ევროპის ჩემპიონატში (ლოძი) ჩვენ მხოლოდ ხუთი მოჭიდავით გამოვდიოდით. მათგან სამმა, ადრე რომ ასეთი მასშტაბის ტურნირებში არ უასპარეზიათ, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა: ესენი იყვნენ: 60 კგ. გიორგი რევაზიშვილი (საგარეჯო, კლუბი „რაინდები“), 86 კგ. იველი ჯიქურაული (დუშეთი, „ფალავანი“) და +95 კგ. ალექსანდრე დავითაშვილი (ახმეტა, „რაინდები“).

ექვსი მოჭიდავით ასპარეზობდა საქართველოს გუნდი კაიროში ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე. მოვიპოვეთ სამი მედალი: 60 კგ. გიორგი ვაზაგაშვილი (გორი, „დილა“) — I ადგილი, 65 კგ. გიორგი რევაზიშვილი — I ადგილი, 86 კგ. იველი ჯიქურაული — II ადგილი.

და ბოლოს, სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიაში ასპარეზობდა ხუთი ქართველი ძიუდოისტი, რომელთაგან ორმა მედალი დაისაკუთრა: 86 კგ. იველი ჯიქურაული — ვერცხლი და +95 კგ. ალექსანდრე დავითაშვილი — ბრინჯაო.

● **თქვენს მიერ ჩამონათვალ სიაში, ფაქტობრივად, ერთი და იგივე გვარები მეორდება, ძიუდოში კი, მოგეხსენებათ, შვიდი წონითი კატეგორიაა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ზოგ წონაში ვაკუუმია შექმნილი?**

— სრულებითაც არა. ჩვენ აქ მოვიყვანეთ ძირითადად ოთხი ძიუდოისტის გვარი. ამათ გარდა, არის კიდევ სამი მოჭიდავე, რომლებზეც მეც და ჩვენი საზოგადოებრიობაც კონკრეტულ იმედებს ვამყარებთ. ერთი მათგანია სოსო ლიპარტელიანი (ლენტეხი, 78 კგ), მეორე — მევლუდ ლობჟანიძე (95 კგ, თბილისი, „ფალავანი“), მესამე კი ყველასათვის კარგად ცნობილი, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი (+95, ქუთაისი).

● **სოსო ლიპარტელიანი, თუ არ ვცდებით, კარგა ხანს არ ჩანდა საჭიდაო ჰორიზონტზე, საზღვარგარეთ ხომ არ იმყოფებოდა?**

— ლიპარტელიანი დასჯილი იყო იმისათვის, რომ ერთ-ერთ ტურნირში არ გაიარა დოპინგ-კონტროლი. ასეთ თვითნებობას საერთაშორისო ფედერაცია არავის არ პატიობს. სოსოს მარტში ეხსნება სასჯელი და ეძლევა საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობის უფლება. მანამდე კი ვარჯიშობს გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად და დარწმუნებული ვარ, მალე ჩადგება მწყობრში. ასე რომ, 78 კგ წონაშიც საქმე მოგვარებული გვაქვს. ქვემძიმე წონაში დიდ იმედებს ვამყარებ ლობჟანიძეზე, რომელსაც სამი-ოთხი წელია საქართველოში შეჯიბრება არ წაუგია, ბაქოს საერთაშორისო ტურნირი კი, გახსოვთ ალბათ, უჯარიმოდ დაამთავრა. რაც შეეხება დავით ხახალეიშვილს, მას მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება და ჩვენ მისგან, ბუნებრივია, მხოლოდ გამარჯვებებს მოველით.

● **თუ არ ვცდებით თავისუფალი დარჩა მხოლოდ ერთი წონა — 71 კგ. აქ რა მდგომარეობაა?**

— აქაც გვყავს სამი კანდიდატი. მათ გამოვცდით უახლოეს ტურნირებში და უფრო კონკრეტულ პასუხს მაშინ მოგახსენებთ.

● **რომელია უახლოესი ტურნირი?**

— მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც იანვრის ბოლოს ეწყობა. აქ ჩვენ სამთავე კანდიდატს შევამოწმებთ — ლენტეხელ გიორგი იოსელიანს, დუშელ კობა თადიაშვილს და გლდანელ ნუკრი ვარდანაშვილს.

● **რა პრინციპით მოხდება ოლიმპიური თამაშებისთვის კანდიდატთა შერჩევა?**

— ეს პრინციპი უჩვენოდ შეარჩია საერთაშორისო ფედერაციამ. ოლიმპიადაზე ამიერიდან მოხვდებიან ის მოჭიდავეები, რომლებიც უახლოესი ორი წლის მანძილზე კონკრეტულ ტურნირებში მოიპოვებენ ამის უფლებას. წლეულს ასეთი ტურნირი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატი (ტოკიო, ოქტომბერი). პირველ რვა ადგილზე გასული მოჭიდავე ყოველ წონაში ატლანტის თამაშების საგზურს მიიღებს. გაისად ანალოგიური მნიშვნელობისა იქნება რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება და ევროპის ჩემპიონატი. ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ, გაისად არც ერთი საკვალიფიკაციო ტურნირი არ გამოვტოვოთ. რაც შეეხება წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს, სურვილი გვაქვს რვავე წონაში გამოვიყვანოთ მონაწილე.

● **როგორც ჩანს, საქართველოში შექმნილი ეკონომიკური პირობების გამო სრული გუნდით ასპარეზობას ტურნირებში ხშირად ვერც შევძლებთ.**

— ვერც შევძლებთ და არც არის საჭირო. ტურისტული სეირნობის დრო მორჩა. შეჯიბრებაზე გაემგზავრება ის სპორტსმენი, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული და შინ რაღაც „ნადავლს“ მაინც ჩამოიტანს. დადგა ყაირათიანობის დრო და ჩვენც, გვინდა ეს თუ არა, ფეხი უნდა ავუწყოთ ცხოვრებას. შარშან, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე რვის ნაცვლად, ხუთი მოჭიდავე წავიყვანეთ. აქედან დანაზოგი ფული ბერლინის ახალგაზრდულ ტურნირზე ბიჭების გასაგზავნად გამოვიყენეთ. აი, სწორედ ასეთი ყაირათიანობა მაქვს მხედველობაში.

● **ჩვენ ვიცით, რომ ძიუდოს ჰყავს საკმაოდ ხელგაშლილი სპონსორები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მათი რიცხვი არ არის საკმარისი და ერთთავად მათ ძებნაში ხართ. ვიცით აგრეთვე, რომ ხშირად თითოეული მოჭიდავის გაგზავნის ხარჯებს რაიონები კისრულობენ: გორელ ძიუდოისტს, მაგალითად, გორელი სპონსორები აფინანსებენ, თელაველს — თელაველები, ახმეტელს — ახმეტელები და ასე შემდეგ. პირადად თქვენ ვინ გყავთ სპონსორი?**

— მე მოგიყვანთ კაიროს ახალგაზრდული ტურნირის მაგალითს, დასკვნა კი თავად გააკეთეთ. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ექვსივე მონაწილის გამგზავრება ეგვიპტეში დააფინანსა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა. სანამ ორგანიზაციულ საკითხებს ვაგვარებდი, გამოირკვა, რომ ვერ ვახერხებდი ბიჭებთან ერთად გამგზავრებას. კიდევ კარგი რომ წასვლამდე ორი დღით ადრე ჩემმა ყოფილმა მოწაფემ, წარსულში ცნობილმა ძიუდოისტმა ამირან მუზაევმა ხელი გამოიღო და თავისი ფულით მიყიდა კაიროს საგზური...

● **ძიუდოისტები ხშირად ითხოვენ დახმარებას სპონსორებისგან, ორგანიზაციებისგან, სპორტის დეპარტამენტისაგან. ანალოგიური მოთხოვნა აქვთ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებსაც, არადა, ყველას დაკმაყოფილება ძნელიც არის და ჩვენი აზრით შეუძლებელიც. რა გამოსავალს ხედავთ აქ?**

— ყველას დაკმაყოფილება ძნელია და არც არის საჭირო. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას რომ ვქადაგებთ, სწორედ ეს გახლავთ საბაზრო ეკონომიკა. დახმარება უნდა გაეწიოს იმას, ვინც რაღაც ღირებულებას ქმნის ქვეყნისთვის, დანარჩენები კი ... „უკეთეს დროს“ დაელოდონ.

## ხუთი შეკითხვა სპორტულ ფედერაციებს

**1. როგორია თქვენი მონაგარი 1994 წელს?**
**2. რა გიშლიდათ ხელს შარშან უკეთესი შედეგების მიღწევაში?**
**3. როგორ ფიქრობთ, ხელშემშლელი მიზეზები დაიძლევა თუ გაღრმავდება 1995 წელს?**
**4. რა საშიშროება ემუქრება თქვენი სპორტის სახეობას და რა იხსნის მას?**
**5. როგორ იყენებთ პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 28 ივლისის ბრძანებულებას „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ?“**

ვინ დაიწყებდა პირველი ამ კითხვებზე პასუხის გაცემას? ფედერაციების უმეტესობამ გვიპასუხა — „ჯერ სხვამ“. ეს „სხვა“ კი სამბოს ფედერაცია, პირადად ბატონი ალბერტ კუხიანიძე აღმოჩნდა. მას, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ჩვენი სპორტული სამყარო იცნობს როგორც თავდადებულ მუშაკს, კარგ ორგანიზატორს, პრინციპულ და მართალ კაცს. დიდია მისი ღვაწლი იმაში, რომ სამბისტებმა, მკლავჭიდელების შემდეგ, ყველაზე მეტი მედალი მოუტანეს გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკას.

1. შარშან სამბისტთა ნაკრები სამ ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა (მსოფლიო თასი; ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები), მოვიპოვეთ ოქროს 8, ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 11 მედალი, რაშიც დიდია უფროსი მწვრთნელის ომარ იაძის წვლილი.

2. უფულობა, და... არ გვაქვს მზადების ელემენტარული პირობები. უსახსრობის გამო, მსოფლიო ჩემპიონატის წინ შეკრებაც ვერ ჩავატარეთ. ამ მიზეზით, გუნდმაც არასრული შემადგენლობით იასპარეზა. არადა, შინ ვინც დარჩა, საპრიზო ადგილზე გასვლა შეეძლოთ. ამასთან, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის დახმარება, რაც სპორტის დეპარტამენტმა, კასპის, საგარეჯოს, მცხეთის გამგებლებმა და სპორტსმენთა მშობლებმა გაგვიწიეს.

3. წლეულს, ალბათ, ხელშემშლელი მიზეზები გაღრმავდება, თუმცა ვაპირებთ შევინარჩუნოთ შედეგები.

4. სპორტის ვერც ერთ სახეობას ვერ შევინარჩუნებთ, თუ ზემოთ აღნიშნული მიზეზები არ აღმოიფხვრა და მწვრთნელთა დენადობა არ შეჩერდა. მოსაწესრიგებელია სპორტული ბაზები. სამბოს ხსნაც ამ პრობლემების გადაჭრაშია. ენთუზიაზმი, მოგეხსენებათ, დღემოკლეა.

5. მოკლედ გიპასუხებთ: ჯერ ვერ ვიყენებთ.

ესაუბრა
ხათუნა აფაქიძე

## ჭადრაკის სამყაროში

### შევეჩვიოთ, სპორტშიც მთავარია ფული!
### გივი გოგიჩაიშვილი — თბილისის ჩემპიონი

თბილისის 1995 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის ადრინდელებთან შედარებით ფრიად განსხვავებული წესებით ჩატარდა. მასში მონაწილეობდა ნებისმიერი თანრიგის მოჭადრაკე, ოღონდ ერთი სავალდებულო პირობით — უნდა შეეტანა 5 ათასი რუსული რუბლი. ორი გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლებას იღებდა.

შეჯიბრება, რომელშიც 94 (მათ შორის, 21 ქალი) მონაწილეობდა, 9 ტურად ჩატარდა, შვეიცარიული სისტემით. მწვავე ბრძოლის შემდეგ I-III ადგილები გაინაწილეს გივი გოგიჩაიშვილმა, კახა შალამბერიძემ და ბექა კვარაცხელიამ. თითოეულს ფულადი ჯილდოს სახით 78 ათასი რუბლი ერგო, მაგრამ გასარკვევი დარჩა ჩემპიონობის საკითხი და ისიც, ვინ უნდა გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე.

დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება ორ წრედ, სწრაფ ჭადრაკში. 4 შესაძლებლიდან 2,5 ქულით პირველი ადგილი და თბილისის ჩემპიონის წოდება გივი გოგიჩაიშვილმა მოიპოვა. 2 ქულა მოაგროვა კახა შალამბერიძემ, 1,5 — ბექა კვარაცხელიამ.

### როგორა გაქვთ საქმე, მოჭადრაკეებო?
### ფიდეს ბოლო რეიტინგი

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) მას შემდეგ, რაც შემოირიგა მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი, გამოაცხადა ახალი რეიტინგი 1995 წლის 1 იანვრისათვის. წინა რეიტინგებისაგან განსხვავებით ამ კლასიფიკაციის ღირსება იმაშია, რომ შეუფასებლად არ არის დარჩენილი არც ერთი მოჭადრაკე. რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი 2805 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა.

უძლიერესთა ასეულში მოხვდა ორი ქართველი მოჭადრაკე — ზურაბ აზმაიფარაშვილი ინგლისელ ჯონათან სპილმენთან და ესტონელ ლემბიტ ოლისთან ერთად 2610 ქულით 44-46-ე ადგილებს იყოფენ. გია გიორგაძეს აქვს 2590 ქულა და სხვა თერთმეტ მოჭადრაკესთან ერთად 66-77-ე ადგილებს ინაწილებს.

ქალთა რეიტინგში ქართველი მოჭადრაკეები საკმაოდ ჭარბად არიან წარმოდგენილნი, უძლიერესთა ოთხეული კი ასე გამოიყურება:

1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2630
2. სიე ჯუნი (ჩინეთი) — 2565
3. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2545
4. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — 2520

პია კრამლინგი (შვეცია) — 2520

უძლიერესთა სიაში შეყვანილი არიან აგრეთვე:

8. ნანა იოსელიანი — 2465
16. ქეთევან არახამია — 2400
18-20. ნონა გაფრინდაშვილი — 2390
27-31. ნინო გურიელი — 2370
38-41. ნანა ალექსანდრია — 2350

იქვეა მინიშნებული, რომ ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია რეიტინგში შეყვანილნი არიან იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს ტურნირებში არ გამოსულან.

გამოქვეყნდა რეიტინგული მონაცემები ჭაბუკებისა და გოგონებისთვისაც. ჭაბუკებში დიდი სატრაბახო არაფერი გვაქვს, გოგონებში კი სამი ჩვენი თანამემამულე უძლიერესთა ოცეულშია:

9. ნინო ხურციძე — 2300
12-13. მაია ლომინეიშვილი — 2280
15-17. ნატო ეძგვერაძე — 2265

### იასერ სეირავანი: „დადგა ფიდეს აღსასრული“

აშშ-ს მრავალგზის ჩემპიონმა ჭადრაკში იასერ სეირავანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფიდეს „აღარასოდეს უნდა ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონატების მატჩების გამართვის უფლება“ და ამ ორგანიზაციის (რომელიც 1948 წლიდან ატარებს მატჩებს მსოფლიო პირველობაზე) „აღსასრულიც დადგა“.

საინტერესოა, რომ, როცა სხვა დიდოსტატები უფრო ადრე გამოთქვამდნენ ამ აზრს, სეირავანი მუდამ ამტყუნებდა მათ. ამერიკელი დიდოსტატი, ჟურნალისტების აზრით, იმან გაანაწყენა, რომ ფიდემ დროულად არ გადაუხადა ჰონორარი მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილეებს ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს, მათ კი ამის გამო ვერ შეძლეს გასამრჯელო გადაეხადათ თავიანთი სეკუნდანტებისთვის (სეირავანი ტიმანის სეკუნდანტი იყო).

### ბლიცმა გადაწყვიტა

საფრანგეთის ქალაქ კაპ-დაგდში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ოლიმპიური სისტემით (სწრაფ ჭადრაკში) მონაწილეობდა 100 მოჭადრაკე, მათ შორის 40 დიდოსტატი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რუსეთი) და მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ბორის გელფანდი (ბელარუსი). მათ თითო პარტია მოიგეს, ამიტომაც დაინიშნა ორი დამატებითი შეხვედრა ბლიცში (5-5-წუთიანი კონტროლით). ორივე ეს პარტია გელფანდის გამარჯვებით დამთავრდა.

### ერთადერთი დებიუტი — სიცილიური

არგენტინის საჭადრაკო ფედერაციამ ერთობ თავისებური სუპერტურნირი მოაწყო 8 გამოჩენილი დიდოსტატის მონაწილეობით. აი ისინიც: მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რუსეთი), მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები ვიშვანათპან ანანდი (ინდოეთი), გატა კამსკი (აშშ) და ვალერი სალოვი (რუსეთი), აგრეთვე ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ალექსეი შიროვი (ლატვია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და იუდით პოლგარი (უნგრეთი).

ტურნირი ორ წრედ მიმდინარეობდა, ამასთან, იყო ერთი აუცილებელი პირობაც: უნდა გათამაშებულიყო ერთადერთი დებიუტი — სიცილიური დაცვა! მსგავსი შეჯიბრებები იშვიათად ეწყობა და მონაწილეთაგან დიდ სპეციალურ მომზადებას მოითხოვს, შესაძლოა მეტად ძლიერმა მოჭადრაკემ სრული მარცხიც კი იგემოს. სწორედ ასე მოუვიდა მსოფლიო ჩემპიონს კარპოვს, თუმცა ბოლო ხანებში იგი დიდი წარმატებით თამაშობს.

ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა ვალერი სალოვი, ხოლო მეორეზე — იუდით პოლგარი, რომელსაც სიცილიური პარტიის დიდი გამოცდილება გააჩნია.

### იუდით პოლგარი და რ. ფიშერი პირისპირ

როგორც უნგრული პრესა იუწყება, რობერტ ფიშერისა და იუდით პოლგარის მატჩის წინ ალარაფერი უდგას — მიღებულია ამერიკელი დიდოსტატის პრინციპული თანხმობა. ახლა საქმე მხოლოდ სპონსორშია, საჭიროა ისეთი მეცენატი, როგორიც იყო, ვთქვათ, იუგოსლავიელი მილიონერი ვასილევიჩი, რომელმაც 1992 წელს ფიშერ-სპასკის, ხოლო 1993 წელს — სპასკი-იუდით პოლგარის მატჩები გამართა.

უნგრული პრესა ამჯერადაც ოპტიმისტურად არის განწყობილი — ასეთი მეცენატი აუცილებლად გამოჩნდება.

## რა ხდება ქვეყანაზე

● [illegible] სხდომაზე [illegible] ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სერგეი ბელოვი ამ ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

● ევროპის ექსჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში გრიტ ბროიერი, რომელიც 1993 წელს სამი წლით იყო დისკვალიფიცირებული აკრძალული პრეპარატების მიღებისათვის 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს როგორც გერმანიის ნაკრების სრულუფლებიანი წევრი. 22 წლის მძლეოსანი თავის მწვრთნელთან თომას შპრინგშტაინთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა შვერინში. ამ ქალაქში ბროიერი მიიწვია ადგილობრივმა მკვიდრმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბადროს ტყორცნაში იურგენ შულტმა.

● ჩინელ მძლეოსანთა სკანდალური მხილებების შემდეგ (დოპინგთან დაკავშირებით) ფატალურად არ სწყალობს ბედი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს მა ცზიუნ ჩუენს. ჯერ იყო და ახალი წლის წინა დღეებში იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მაგრამ მსუბუქად დაშავდა. ორიოდე კვირის წინ კი მასთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა თექვსმეტმა მოწაფემ, მათ შორის მსოფლიოს რეკორდსმენმა ვან ცზიუნსიამ. ამ კონფლიქტის მიზეზი საკმაოდ ბანალური აღმოჩნდა: მწვრთნელი თურმე ითვისებდა სპორტსმენთა საპრიზო თანხის ნაწილს და ეს ფაქტი გახდა ცნობილი.

● პოლანდიის ველოსპორტის ფედერაციამ 49 წლის ფრედ რომპელბერგს პროფესიონალის ლიცენზია მისცა: როგორც ველოსპორტის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომპელბერგი ყველაზე ხანდაზმული პროფესიონალია სპორტის ამ სახეობაში.

● მანჩესტერში გაიხსნა ახალი ველოტრეკი, რომელზეც 1996 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ტრეკს, რომლის მშენებლობა ოფიციალური განცხადებით 9 მილიონი დოლარი დაჯდა, უმაღლესი შეფასება მისცა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კრის ბროდმენმა. მან თქვა, რომ მსგავსი მსოფლიოში არაფერი აშენებულა და ამ ველოტრეკმა გაუსწრო ეპოქის მოთხოვნებს. 11 თებერვალს მანჩესტერის ველოდრომზე გაიმართება მატჩ-რევანში საათიან რბოლაში შვეიცარიელ ტონი რომინგერსა და კრის ბროდმენს შორის. გახსოვთ ალბათ, რომ მსოფლიოს რეკორდი ამ პოპულარულ რბოლაში რომინგერმა სწორედ ბროდმენს ჩამოართვა.

● დიდი სლემის პირველ ტურნირში — ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ვერ გამოვიდა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი, გერმანელი შტეფი გრაფი, რომელსაც შარშან მთელი წლის მანძილზე აწუხებდა ყრუ ტკივილები ზურგის არეში. ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ვერ იასპარეზა, აგრეთვე, ჯენიფერ კაპრიატმა, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო ნარკოტიკების სისტემატური ხმარებისათვის. მაგრამ 19 წლის კაპრიატი, ამბობენ, გონს მოეგო და დაიწყო ინტენსიური ვარჯიში.

● 1995 წლის დასაწყისისათვის ჩინეთის სპორტში აღინიშნა ახალი დოპინგსკანდალი. სტამბულის ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებულ ორ ქალს დაუმტკიცდა დოპინგის მიღება. ესენი არიან: ლი დანი და ვან ჩენი — მსოფლიოს ჩემპიონები. ახალი წესების თანახმად ორთავე ძალოსანი სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული.

● კუბაში კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში ტეოფილო სტივენსონი. მანამდე იგი მუშაობდა ეროვნული სპორტული ორგანიზაციის ინდერის დირექტორად.

● მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენებად დაამტკიცა: ვაჟებში — ჟან მიშელ ხევი (ბელგია), ქალებში — დენ იაპონი (ჩინეთი).

● აშშ-ს ერთ-ერთი კერძო რადიოკომპანიის კორესპონდენტთან საუბარში ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა მძლეოსანმა კარლ ლუისმა განაცხადა, რომ აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში. კარლ ლუისი მოემზადება მხოლოდ ორ დისციპლინაში საასპარეზოდ: სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში.

● ჩეხიის საინფორმაციო სამსახურების ცნობით, ცნობილი შუბისმტყორცნელი იან ჟელეზნი ახალი სეზონისათვის ჩილეში მოემზადება და იქ მთელ ხუთ თვეს დაჰყოფს. ჟელეზნის გადაწყვეტილი აქვს დაეუფლოს „ნორდიკის“ ტიპის ახალი შუბით ტყორცნას.

● იმის გამო, რომ 23 წლის რუმინელი მძლეოსანი გალინა ასტაფეი უარს ამბობს ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობაზე და საცხოვრებლად გადადის მაინცში (გერმანია), მას მოეხსნა სამწლიანი დისკვალიფიკაცია, რომლის ვადა 1997 წლის აპრილში მთავრდებოდა.

● კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჟურნალმა „ფიბა-ს ბასკეტბოლმა“ ევროპის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა ლიტველი არვიდას საბონისი, რომელიც მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავს. აი როგორ გამოიყურება უძლიერესთა სამეული: 1. არვიდას საბონისი (ლიტვა, მადრიდის „რეალი“) — 104 ქულა, 2. ფრედრაგ დანილოვიჩი (იუგოსლავია, „ბაკლერი“) — 99 ქულა, 3. ხორდი ვილიაკამპა (ესპანეთი, ბარსელონის „ხუვენტუდი“) — 69. საუკეთესო მწვრთნელად ჟურნალმა დაასახელა ზელკო ობრადოვიჩი, რომელიც ადრე „ხუვენტუდს“ წვრთნიდა, ახლა კი „რეალს“ ავარჯიშებს. რეფერენდუმში მონაწილეობდა 16 მწვრთნელი.

● გამოქვეყნდა იმ მოცურავეთა სია, რომლებმაც გასულ სეზონში მაქსიმალური ჰონორარი დაიმსახურეს: 1. ალექსანდრე პოპოვი (რუსეთი) — 31 ათასი დოლარი, 2. დაი ჟუახონი (ჩინეთი) — 24 ათასი, 3. ბაი ქსიუ (ჩინეთი) — 16 ათასი, 4. მატე იაკობსენი (დანია), დაგმარ ჰააზე (გერმანია), ლე ჯინი (ჩინეთი), კრისტიან კელერი (გერმანია), დენის პანკრატიევი (რუსეთი), რონ დეკერი (ჰოლანდია), ვლადიმერ სელკოვი (რუსეთი), ევგენი სადოვი (რუსეთი) 12-12 ათასი დოლარი.

რა ხდება ქვეყანაზე

# ფეხბურთის მეფე — მინისტრი

ფეხბურთის მეფე პელე ამიერიდან, ეტყობა, უნდა იწოდოს თავისი სრული ნათლობის სახელით — ედსონ არანტეს დუ ნასიმენტო! ეს უკვე მისი ოფიციალური სახელია. იგი დათანხმდა ბრაზილიის ახალი პრეზიდენტის ფერნანდო ენრიკე კარდოსოს წინადადებას ჩაებარებინა ამ ქვეყნის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის პოსტი და ჩაირიცხა მისი კაბინეტის შემადგენლობაში.

ამაზე ახლა ბევრს წერენ უცხოეთის პრესა და საინფორმაციო გამოცემები: პელე — მინისტრი!

და, აი, ახალმა მინისტრმა უკვე წამოაყენა მომავლის პროექტები. განაცხადა, რომ სურვილი აქვს განახორციელოს ორი დიდი მიზანი: 2004 წელს ბრაზილიამ უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს, ხოლო 2006 წელს — მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს! არც მეტი, არც ნაკლები, მასშტაბები მასშტაბებია! ბრაზილიას აქვს საამისო ეკონომიკური თუ მორალური შესაძლებლობანი და იბრძოლებს კიდეც მათი სისრულეში მოსაყვანად.

გაზეთები წერენ, რომ პელეს სხვა მიზნებიც აქვს დასახული, კონკრეტულად, სურს ამით შეუდგეს შორეულ და ეკლიან გზას ბრაზილიის პრეზიდენტის სავარძლისაკენ. თვით მან გადაჭრით განაცხადა: „მე ბიუროკრატი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვფიქრობ ამაზე, როცა 1958 წელს ბრაზილიის ნაკრებში 17 წლისა ჩამრიცხეს, შეგირდად ვგრძნობდი თავს დიდის, ზიკოს, ჯალმა სანტოსის, ჟილმარისა და ბელინის გვერდით, მაგრამ გამიმართლა. ახლა, როგორც მთავრობის წევრს, განზრახული მაქვს ენრიკე კარდოსოს ხელი შევუწყო ბრაზილიელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ჩემი სამინისტრო ერთობ ღარიბია, ამიტომაც, სულაც არ ვაპირებ სახელმწიფო ფულით შევეცადო ამ ორი დიდი შეჯიბრების ორგანიზაციას. თანხებს სპონსორები გაიღებენ.“

უდავოდ, კეთილშობილური ზრახვებია, ოლიმპიური თამაშები ბრაზილიაში ჯერ არ გამართულა, 1950 წლის მსოფლიოს IV ჩემპიონატის შემდეგ კი მრავალმა წყალმა ჩაიარა და თუ იტალიას, მექსიკას ან საფრანგეთს წილად ხვდათ მსოფლიო ჩემპიონატების ორორჯერ მასპინძლობა, ოთხგზის ჩემპიონებს — ბრაზილიელებს მით უფრო აქვთ მორალური უფლებაც და პრეტენზიებიც ასეთივე უფლებაზე. და პელეც ამთავითვე იბრძვის ამ უფლების რეალიზაციისათვის.

მაგრამ, როგორც იტყობინებიან, პელეს კიდევ ერთი მიზანი აქვს დასახული — მას სურს ბოლო მოუღოს ბრაზილიურ ფეხბურთში ფართოდ ფეხმოკიდებულ კორუფციას, გაარკვიოს რა ოფიციალური სახსრები გააჩნიათ იქაურ კლუბებს, საიდან აქვთ ესოდენ დიდი ფული. მას აქ, ალბათ, საქმე ექნება ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტთან რიკარდო ტეიშეირასთან. ეს კი საკმაოდ კერკეტი კაკალი გახლავთ.



ედსონ არანტეს დუ ნასიმენტო

თუმცა, ამ „კერკეტმა კაკალმა“ კორესპონდენტებთან საუბარში თქვა, რომ პელე პრინციპული პიროვნებაა და მინისტრის პოსტზეც არანაკლები კატეგორიულობით იბრძოლებს, ვიდრე მწვანე მინდორზე იბრძოდა.

რიკარდო ტეიშეირას სიტყვებში ნათლად სჭვივის კომპრომისის მოტივები. პელეს ავტორიტეტი ბრაზილიაში იმდენად დიდია, რომ მასთან პირისპირ აშკარა ბრძოლას გარკვეული დათმობა სჯობია.

## ფელიქსი: რომარიო პელესთან რა სახსენებელია!

ცნობილმა მეკარემ ფელიქსმა, რომელიც 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, ამას წინათ ილაპარაკა ეროვნული ფეხბურთის მიღწევებზე. მან გაუმართლებლად ჩათვალა ის გავრცელებული აზრი, თითქოს, ბრაზილიელებს მუდამ სუსტი მეკარეები ჰყავდათ, თავი რომ დავანებოთ ჟილმარს, ბრაზილიელთა კარის დარაჯს 1958 და 1962 წლებში, განა თვით ფელიქსმა შესანიშნავად არ ითამაშა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში? აი უძლიერესი მეკარეების სამეული ამ ჩემპიონატში ინგლისელი ჟურნალისტების აზრით: ბენქსი, ფელიქსი, მაზურკევიჩი. არსებობს ურუგვაელი ჟურნალისტების ვარიანტიც: ფელიქსი, მაზურკევიჩი, ბენქსი, ესპანური ვარიანტი კი ასეთია: ბენქსი, მაზურკევიჩი, ფელიქსი. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა ფელიქსს ამ ჩემპიონატის მეკარეთა შორის მხოლოდ მეხუთე ადგილი მიაკუთვნეს.

ფელიქსმა ილაპარაკა 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებზე.

— ნამდვილად დიდი გუნდი იყო, დღევანდელს კი არ ჰგავდა. თამაშის დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახლანდელი ნაკრები მკვეთრად ჩამოუვარდება ადრინდელს.

● **განა ახლანდელი ჩემპიონებიდან თქვენზე არავინ ტოვებს შთაბეჭდილებას?**

— რატომ, მე ასე არ მითქვამს. მხოლოდ ის აღვნიშნე, რომ ყველაფრით ჩამოუვარდებიან 1970 წლის ჩემპიონებს. ახლა კარგად თამაშობდნენ ალდაირი, მაურო სილვა, ბებეტო, ტაფარელი.

● **რომარიო?**

— რა გააკეთა, ბოლოს და ბოლოს, რომარიომ? დიახ, იგი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ყოველთვის ივიწყებს, რომ ფეხბურთი გუნდური თამაშია და მასში 11 კაცი მონაწილეობს. ის სხვებს ნაკლებად ამჩნევს, მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონს, სამშობლოს მხსნელად წარმოუდგენია. არა, რომარიო კეთილ სიტყვებს არ იმსახურებს, მაშინაც კი, როცა ცალკეულ შემთხვევაში ლამაზი გოლები გააქვს.

● **ასე რომ, თუკი თქვენ ბრაზილიის ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებს შეადგენთ, იქახლანდელი შემადგენლობიდან არავინ მოხვდება?**

— არავინ, არც სათადარიგო შემადგენლობაში. ისინი ყველანი კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ საკუთარი სპეციფიკური სახე არა აქვთ.

● **რა განასხვავებდა პელეს სხვა ფეხბურთელებისაგან?**

— პელე ფეხბურთის გენიოსია, სხვები კი მხოლოდ ნიჭიერი ფეხბურთელებია, მორჩა და გათავდა. პელე ყოველ წუთს შეიძლებოდა მეტოქის კარის წინ გამოჩენილიყო. მიწიდან ამოძვრებოდა თუ ციდან ჩამოვარდებოდა. გარდა ამისა, მას შეეძლო მილიმეტრის სიზუსტით გადაეცა ბურთი პარტნიორისათვის, თქვენ კი ამბობთ, რომარიო! რომარიო პელესთან რა სახსენებელია?

● **იზიარებთ იმ აზრს, რომ პელე ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია?**

— სავსებით ვიზიარებ.

● **მეკარეთაგან ვინ იყო ყველა დროის უძლიერესი?**

— არც აქ არის ორი აზრი: იაშინი! საწინააღმდეგო შეიძლება იმან ამტკიცოს, ვისაც საერთოდ არ ესმის ფეხბურთი, ან იმან, ვისაც იაშინის თამაში არც უნახავს.

მოამზადა ბიბი თორელმა

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჯანყი რუსეთის ფეხბურთში და ჩოგბურთში

### ერთი ქარქაში ორი ხმლისათვის არ გამოდგება

რუსეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგასა და რუსეთის ფეხბურთის კავშირს შორის, რომელსაც ჩვენთვის ყველასათვის კარგად ცნობილი ვ. კოლოსკოვი უდგას სათავეში, ძველი დავა გავლენის სფეროსათვის, გრძელდება. მეტიც, თავი იჩინა ახალმა კონფლიქტმა. ლიგის პრეზიდენტმა ნ. ტოლსტიხმა პროტესტის ნიშნად მიატოვა კავშირის პლენუმი, რომელიც თანდათან კონფერენციაში გადაიზარდა და განიხილავდა კავშირის წესდებაში ცვლილებების საკითხებს. ტოლსტიხი კი იმან გაანაწყენა, რომ ცვლილებები ლიგის უფლებამოსილების შეზღუდვასაც ითვალისწინებდა. რუსეთის პრესამ ტოლსტიხის საქციელი აღიქვა, როგორც მისი თანამდებობიდან გადადგომის ჟესტი, რაც თავად ტოლსტიხმა პრესითვე უარყო და განაცხადა: „ბევრს სურს, სასურველი სინამდვილედ წარმოადგინოსო“.

როგორია კოლოსკოვის პოზიცია? იგი აცხადებს: „დემარშის საფუძველი ტოლსტიხს არ გააჩნდა. იგი ალბათ, ლიგის მისამართით ჩემმა მწვავე კრიტიკამ გაანაწყენა. წესდების ცვლილებებს ვიხილავდით ფიფას ბოლო კონგრესის რეკომენდაციის საფუძველზე. ლიგამ იარსებოს, მაგრამ ჩვენ დავამტკიცებთ ქვეყნის ჩემპიონატის, სხვა შიდა შეჯიბრებების დებულებას და კალენდარს, სხვა მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს“.

რუსეთის პრესამ ეს დაპირისპირება აიტაცა, როგორც ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში ახალი ქაოსის დასაწყისი.

### იწყება კაფელნიკოვის ეპოქა?

მას შემდეგ, რაც რუსეთის ჩოგბურთში გამოჩნდა ბრწყინვალე ლიდერი ევგენი კაფელნიკოვი, „წყალი შეუდგა“ ქვეყნის ნაკრები გუნდის კაპიტნის ვ. ბორისოვის ავტორიტეტს. ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ს. მიხალკოვი, როგორც იტყვიან, კბილებით იცავდა ბორისოვს და პრეზიდიუმის წევრებს თავისი გადადგომითაც კი დაემუქრა, თუ კაპიტანს გარიყავდნენ. არაფერი გამოვიდა — ახალ კაპიტნად აირჩიეს კაფელნიკოვის პირადი მწვრთნელი ა. ლეპეშინი. თავად კაფელნიკოვი მიესალმა ამ ცვლილებას და დასძინა, რომ ლეპეშინი სწორედ ის კაცია, რომელიც სჭირდება რუსეთის ჩოგბურთს. აი, ნაკრების მეორე ჩოგანი — ა. ვოლკოვი კი კატეგორიული წინააღმდეგია დაამტკიცონ ლეპეშინი კაპიტნად (ჯერჯერობით იგი კაპიტნის მოვალეობას ასრულებს). ასე რომ, თვით ლეპეშინის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩაიბარა რთული პიროვნებებით დაკომპლექტებული ნაკრები“. თუმცა, მას იმედი აქვს ყველაფერი მოგვარდება, რადგან გადაწყვიტა, თანაშემწედ მიიწვიოს ს. ლენიუკი, რომელიც ვოლკოვთან კარგი მეგობრული ურ... თობით არის ცნობილი და ადრე ნაკრების კაპიტანიც იყო. ახალი კაპიტნის დებიუტი შედგება თებერვალში, როცა დევისის თასის მორიგ გათამაშებაში რუსეთის ჩოგბურთელები ბელგიის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

იმ დროისათვის კი, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა.

### ანატოლი კონკოვი უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ. 5 მარტს განახლდება უკრაინის ჩემპიონატი და ახალი მწვრთნელი ნაკრებში, იმის მიხედვით შეიტანს ცვლილებებს ვინ რას წარმოადგენს. კითხვაზე, ფეხბურთელებს, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა გუნდებში გამოდიან, მაგრამ არიან უკრაინის მოქალაქეები, მიიწვევს თუ არა ნაკრებში, კონკოვმა უპასუხა: „ეს დამოკიდებულია ორ ფაქტორზე, თვით ფეხბურთელის მონაცემებზე და ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებზე“.

კონკოვის თანაშემწეები იქნებიან ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელები.

ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ასევე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვ. ტროშკინი.

# სიახლეები ფიფას ცხოვრებიდან

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გამართა პრესკონფერენცია, სადაც ილაპარაკა ფიფას ცხოვრების სიახლეებზე.

— მთავარი საკითხი, რომელიც ფიფაში დაისვა, იყო ეროვნული ფედერაციების დამოკიდებულება თავიანთი ქვეყნების მთავრობებთან. ადრეც იყო ფიფას წესდებაში პუნქტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მთავრობების ჩარევას ფედერაციების საქმიანობაში. ამან ახლა უფრო ნათელი ფორმულირება მიიღო.

— როგორი?

— პირველი: ნებისმიერი ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო თვით ფედერაციის მიერ ჩატარებული არჩევნებია. ჩამობდება მეორე — თითოეული ეროვნული ასოციაციის წესდებაში უნდა იყოს დებულება, რომელიც იმგვარი არჩევნების მოწყობის საშუალებას იძლევა, ამომრჩევლების სრულ დამოუკიდებლობას რომ უზრუნველყოფს. მესამე — ფიფა არ ცნობს იმ ფედერაციის აღმასკომს, რომელიც ამ პირველი და მეორე პუნქტების დარღვევით არის ჩამოყალიბებული.

— რამ გამოიწვია წესდების პარაგრაფების ასეთი კონკრეტიზაცია?

— ზოგიერთმა სიტუაციამ, მაგალითად, აფრიკულ ქვეყნებში, სადაც მთავრობები შეეცადნენ გავლენა მოეხდინათ ფეხბურთის ფედერაციებზე.

— ცნობილია, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ მსგავსი სიტუაცია აზერბაიჯანშიც შეიქმნა.

— სწორია. იქ მთავრობამ საკუთარი ლიგა ჩამოაყალიბა და შეჯიბრების ჩატარებაც დაიწყო, ამის პარალელურად ჩემპიონატს ფედერაციაც ატარებდა. როგორც კი ფიფამ მიიღო ეს ინფორმაცია, მყისვე მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანი დროებით გაერიცხა თავისი რიგებიდან. ასეთი რეაქცია რომ ცნობილი გახდა, მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული ლიგა მაშინვე დაშალეს.

— რა გადაწყვეტილებაა მიღებული მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა შესახებ?

— დაისვა საკითხი 24 ადგილის განაწილების შესახებ. აველანჟმა ევროპას შესთავაზა 15 ადგილი, აფრიკას — 3, მაგრამ აღმასკომმა სხვა ვარიანტს მისცა ხმა. ევროპის ერთი ადგილი აფრიკას გადაეცა.

— ხომ არ ვილაპარაკოთ აფრიკელთა კიდევ ერთ წინადადებაზე მსოფლიო ჩემპიონატების მონაცვლეობით ჩატარების შესახებ?

— დიახ, ასეთი წინადადება იყო: ჯერ ჩემპიონატს მართავს ევროპა, ოთხი წლის შემდეგ აფრიკა, შემდეგ აზია და ა.შ. ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, თუმცა ფიფას ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ზედიზედ ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატი ერთ კონტინენტზე არ მოეწყობა.

— მიღებულია თუ არა გადაწყვეტილება ყველა ეროვნული ჩემპიონატის სამქულიანი სისტემით ჩატარების შესახებ?

— დიახ, მიღებულია. 1995-1996 წლების სეზონიდან ფიფას რეკომენდაციით ყველა ლიგაში მოგებისთვის სამი ქულა დაირიცხება. ფრე შეფასდება ერთი ქულით.

## „არტისტები“ საფეხბურთო მოედანზე

რამდენჯერ გვინახავს მეტოქესთან შეჯახებისას ან სხვა რთულ სიტუაციაში ზოგიერთი ფეხბურთელი როგორ ცდილობს მსაჯსაც და ტრიბუნებსაც დაუმტკიცოს, რომ მას უხეშად მოექცნენ: მინდორზე ვარდება, იკლაკნება, მუხლზე ან კოჭზე შემოიხვევს ხელებს, მკლავს ან მხარს მეორე ხელით „იმაგრებს“, ხან ნეკნებზე, ხან მუცელზე, ხან წელქვევით ტკივილზე მიგვანიშნებს... ერთი სიტყვით, არტისტობს. ზოგჯერ, როდესაც გვგონია, აგერ სადაცაა საკაცით გაიტანენ, წამოხტება, წაიკოჭლებს ან წახრილი გაივლ-გამოივლის, თანაგუნდელები გაამხნევებენ, წამოარტყამენ და თუ ბურთი ახლოსაა, უცებ ყველაფერს დაივიწყებს, ვითომც არაფერი. ვინ იცის, რამდენს „გაუმართლა“ — ასეთი არტისტობით ჯარიმა, ყვითელი ან წითელი ბარათი „აჭკიდა“ მეტოქეს, ზოგჯერ კი კარგად გათამაშებულ ეპიზოდს საბოლოო წარმატებაც მოუტანია „არტისტის“ გუნდისათვის. ამბობენ, თითო ასეთი მსახიობი მეტწილ გუნდებს ყოველთვის ჰყავსო. მკითხველმა თავად გაიხსენოს და განსაჯოს.

მაგრამ გუნდში ფეხბურთელის არტისტობა თურმე სულაც არ ყოფილა სახუმარო, მით უფრო, სამარცხვინო საქმე. თითქმის ამ 10 წლის წინათ, ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორიცაა არგენტინა, აი რა მოხდა: პროფესიონალმა მწვრთნელებმა, რომლებიც ჭაბუკებს წვრთნიან, სასწავლო პროგრამაში შეიტანეს მეცადინეობები, სადაც ახალბედა ფეხბურთელები სწავლობენ მკაფიოდ და შთამბეჭდავად, როგორ გამოხატონ მეტოქესთან შეჯახებისას ვითომდა, მიყენებული ტკივილი, დაარწმუნონ მსაჯი, თითქოს ამ ტრავმამ იგი დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან, ყმაწვილებს კი ასეთი მეცადინეობები თურმე ძალიან მოსწონთ. ქვეყნის ერთ-ერთი ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელმა ჟურნალისტს განუცხადა: „დღეს ფეხბურთელი ვერც იოცნებებს საფეხბურთო კარიერაზე, თუ მას არ გააჩნია კარგი სამსახიობო მონაცემები“.

ასე რომ, ფხიზლად, მსაჯებო!



## გარდაიცვალა ა. შესტერნიოვი

**58 წლისა გარდაიცვალა ალბერტ შესტერნიოვი, მოსკოვის ცსკა-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მცველი. მან საბჭოთა კავშირის ნაკრებში 89 მატჩი ჩაატარა, მოიპოვა მეოთხე ადგილი მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე, მეორე ადგილი — ევროპის 1964 წლის პირველობაზე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა 1970 წელს.**

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი

ნიკოლოზ გაგნიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში.** ლელა მესხს ხელი მოეცარა ერთეულთა შეჯიბრებაში. წყვილთა შეხვედრებში ევგენია მანიუკოვასთან (რუსეთი) ერთად მოიგო ორი ტური, მაგრამ მესამეში დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა.

# სასიამოვნო სიახლეების მოლოდინში: ქართული კლუბები ევროპისაკენ იკვლევენ გზას

23 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში თათბირზე მოსულმა პირველი ჯგუფის კოლექტივების მთავარმა მწვრთნელებმა სასიამოვნო ამბები შეიტყვეს: წლეულს საქართველო სხვადასხვა ევროტურნირში წარმოდგენილი იქნება დაახლოებით შვიდი საკლუბო გუნდით (!). დიახ, თუ არ ჩავთვლით, სავარაუდოდ, ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე, უეფას თასზე თითო გუნდით მონაწილეობას, კიდევ ალბათ, ოთხი საკლუბო კოლექტივი ჩაებმება „ტოტო-სპორტის" ტურნირში, რომელიც პირველად ჩატარდება უეფას ეგიდით (საქართველოს ასეთი „გულუხვი" წარმომადგენლობა ამ ტურნირებში შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გასული წლის შედეგების მიხედვით ქართულმა ფეხბურთმა საკმაოდ გაზარდა თავისი რეიტინგი და მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა. უკან მოიტოვა რა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჰოლანდია, ბულგარეთი, შვეცია, და ა.შ.). გარდა იმისა, რომ საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობით ჩვენი გუნდები ესოდენ საჭირო გამოცდილებასა და ავტორიტეტს შეიძენენ, ისინი ფინანსურადაც გამაგრდებიან. ასე, „ტოტო-სპორტის" ასპარეზობაში (ოთხი ჯგუფი ხუთ-ხუთი გუნდით) ჯგუფებში გამარჯვებული კლუბები ავტომატურად დაიმსახურებენ(?) ... 

ვებიან უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირში. ისინი პრემიის სახით 40 ათას შვეიცარიულ ფრანკსაც „გამოჰკრავენ ხელს". ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული კოლექტივები მიიღებენ 35-35 ათასს, მესამე ადგილზე — 30-30 ათას, მეოთხეზე — 25-25 ათასს, ხოლო ბოლო, მეხუთე ადგილზე გასული — 20-20 ათასს.

თათბირზე ითქვა, რომ, ვინაიდან ევროტურნირებში მონაწილე გუნდების განაცხადი უეფაში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 31 მაისისა (კლუბების ამა თუ იმ ტურნირში წარდგენა სფფ-ის პრეროგატივაა და, ძირითადში, ეს მოხდება სპორტული პრინციპით, ეროვნულ ჩემპიონატში მოპოვებული ადგილების მიხედვით), საქართველოს მეექვსე ეროვნული ჩემპიონატი ამ დროისათვის დამთავრდება. მაშასადამე, მეორე წრის ტურები ძალზე შემჭიდროვებულად, ყოველ ოთხ დღეში გაიმართება. თათბირზე გამოსულმა „სამტრედიის" (მ. ხურცილავა), „შევარდენი-1906"-ის (ნ. აკობია), თბილისის „დინამოს" (ს. კუტივაძე), „დილის" (მ. კოჭლამაზაშვილი) და სხვა გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა ძირითადში მოიწონეს ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი, სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დ. კვინიკაძემ სთხოვა მათ კიდევ ერთხელ გულდასმით განეხილათ იგი და თავისი წინადადებები და სურვილები აცნობონ ფედერაციას.

მაშ ასე, წელს ქართულ ფეხბურთს ეძლევა ჩინებული სტიმული და შანსი შესამჩნევად გაიუმჯობესოს რეიტინგი, რაც შესაძლებელს გახდის უფრო გაზარდოს წარმომადგენლობა ევროპის ასპარეზზე. ამასთან დაკავშირებით თათბირზე თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ს. კუტივაძემ დააყენა პირველი ჯგუფის გუნდების შემადგენლობათა გაძლიერების აუცილებლობის და აქედან გამომდინარე, მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი (დებულებით გათამაშების მსვლელობისას აკრძალულია პირველი ჯგუფის გუნდიდან გუნდში გადასვლა). მას განემარტა, რომ ეს სფფ-ის აღმასკომის კომპეტენციაში შედის და თებერვლის შუა რიცხვებამდე მიიღებენ გადაწყვეტილებას.

ჯემალ ჭიპაშვილი

## ხალხში გამოდის

ბრონინგენი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ტრადიციული საახალწლო ტურნირი ჭადრაკში. იგი მოიგო 18 წლის უნგრელმა ზოლტან ალმაშიმ. მიმომხილველთა აზრით ამ ნიჭიერი მოჭადრაკის გვარს ამიერიდან ხშირად გავიგებთ. ალმაშიმ 11 შესაძლებლიდან 8 ქულა დააგროვა და მთელი ერთი ქულით გაუსწრო აქამდე რუს, ახლა კი „გერმანელ" მოჭადრაკეს არტურ იუსუპოვს.

ალექსანდრე ბელიავსკიმ (უკრაინა), სერგეი ტივიაკოვმა (რუსეთი), ლუი ვან ველმა (ნიდერლანდები) და ივანე სოკოლოვმა (ბოსნია-ჰერცოგოვინა) 6-6 ქულა დააგროვეს. ბორის გულკოსა (აშშ) და კირილ გეორგიევს (ბულგარეთი) 5-5 ქულა ჰქონდათ. მომდევნო ადგილები დაიკავეს: ენტონი მილსმა (ინგლისი) — 5, ზურაბ აზმაიფარაშვილმა (საქართველო) — 4, ჯონ ვან დერ ვილმა (ნიდერლანდები) და ჯულიან ჰოდგსონმა (ინგლისი) — 3,5-3,5.



# შოთა სეფაშვილი

ავადმყოფობის შემდეგ, **14** იანვარს, მოულოდნელად გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოჭიდავე, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე შოთა სეფაშვილი.

ყმაწვილობიდან შეიყვარა ჭიდაობა, ქართველ ფალავანთა ტრადიციებს გაჰყვა და თავდადებული გარჯით არაერთ მაღალ სპორტულ წარმატებას მიაღწია — ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში იყო სპორტის ოსტატი, საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალგზის ჩემპიონი და გამარჯვებული, პრიზიორი. **1956-1961** წლებში უცვლელად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ყველაფერში ერთგულება ახასიათებდა და ბოლომდე დარჩა სპორტულ საზოგადოება „დინამოს" წევრი, სადაც როგორც დამწყებმა მოჭიდავემ გადადგა პირველი ნაბიჯები. ჯერ დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და კოლეგიის წევრი. და მაინც სპორტს მის ცხოვრებაში არ გადაუწევია უკანა პლანზე, მუდამ მოჭიდავეთა სამყაროში ტრიალებდა, სითბოს და სიყვარულს მიაგებდა ყველას, თანადგომა ხომ სამაგალითო იცოდა. დიდხანს იყო ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში.

შესანიშნავი მეოჯახის, გამორჩეული მეგობრის, მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნების შ. სეფაშვილის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ყველას გულებში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

ჭიდაობის ფედერაცია, სპორტსმენებისა და მეგობრების ჯგუფი.



# ჯამბულატ ჟუფარაძე

კრივის ქართველ ქომაგებს, და არა მარტო მათ, მან თავი დაამახსოვრა როგორც ცნობილი ქუთაისური კრივის სკოლის შესანიშნავმა წარმომადგენელმა. ვისაც უნახავს ჯ. ჟუფარაძის გამოსვლები რინგზე, ძნელად დაივიწყებს მის შეუპოვარ სწრაფვას გამარჯვებისაკენ, რასაც იგი მაღალი ოსტატობით აღწევდა, ამიტომაც ღირსეული აღიარება დაიმსახურა.

კრივში ვარჯიში დაიწყო ქუთაისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში ვალერი ბურჯანაძისა და გიორგი კუხიანიძის ხელმძღვანელობით. პერსპექტიულმა ჭაბუკმა მოკლე დროში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, **1985-1986** წლების თბილისის ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, **1986** და **1987** წლებში ზედიზედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა იუნიორთა შორის. სპორტის ოსტატი ჯ. ჟუფარაძე წლების მანძილზე გამოდიოდა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში.

დასანანია მისი უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან, რაც დიდი დანაკლისია ჩვენი კრივისათვის. ჯ. ჟუფარაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს არ წაიშლება მათ გულებში, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია ამ გულისხმიერ და სიკეთით სავსე ახალგაზრდას.

ოლიმპიური რეზერვის ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სკოლა, საქართველოს კრივის ფედერაცია.

# პროფესიული რინგის ამბები

● **მაიკ მურერთან** სენსაციური გამარჯვების შემდეგ, რომელმაც 45 წლის მოკრივეს მოუტანა ოქროს ქამარი, ერთბაშად ორი ვერსიით (მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაცია და კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ჯორჯ ფორმენი პირველად გამოვა რინგზე მხოლოდ 22 აპრილს (შეგახსენებთ, რომ წლეულს 10 იანვარს მას 46 წელი შეუსრულდა). შეხვედრა დიდი ჯორჯი შედარებით უცნობ მოკრივეს გერმანელ აქსელ შულცს შეხვდება მოეწყობა ახალი ორლეანის სუპერდრომზე.

შულცის პრომოუტერმა ვილფრედ საუერლენდმა ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არსებობს მოსალოდნელი შედეგის ორი ვარიანტი. ვინაიდან გერმანელი მოკრივე ახალგაზრდაა და ამიტომაც უფრო სწრაფი, მოქნილი და გამძლე, მას შეუძლია ბრძოლა მოიგოს ქულებით: დაღალოს მეტოქე, გამოიყვანოს წონასწორობიდან, ამოაგდოს ჩვეული რიტმიდან და ა.შ. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, გამარჯვება დარჩება ფორმენს, ამასთან, უთუოდ ნოკაუტით და შესაძლებელია ბრძოლის დასაწყისშივე. ფორმენს, პრომოუტერის აზრით, ერთი დარტყმით გაშმაგებული ხარის წაქცევა შეუძლია.

როგორც სტატისტიკოსები უსვამენ ხაზს შულცი მესამე გერმანელი მოკრივეა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე მძიმე წონაში. პირველი ამ სიაში გახლდათ ლეგენდარული მაქს შმელინგი, რომელმაც 1930 წელს დაამარცხა ამერიკელი ჯეკ შარკი და ოქროს ქამრის მფლობელი გახდა. 1966 წელს კი მოჰამედ ალიმ დაამარცხა საკმაოდ ძლიერი გერმანელი კარლ მილდენბერგერი.

ცნობილი გახდა ფინანსური გარიგების შედეგებიც. შულცი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ნაკლებადცნობილი მაძიებელი, ყველა ვარიანტში მიიღებს მიზერულ ჰონორარს — 500 ათას დოლარს. მარცხის შემთხვევაში ეს, როგორც ამბობენ, არაუშავს თანხაა, აი გამარჯვებისთვის კი... თუმცა ახალბედებს მსოფლიოს ჩემპიონატების ორგანიზატორები მაინცდამაინც არ სწყალობენ. ფორმენის ჰონორარი განისაზღვრა 5 მილიონი დოლარით, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გაიმარჯვებს.

შულცს პროფესიულ რინგზე სულ 23 ბრძოლა აქვს ჩატარებული. მოიგო 21, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთიც წააგო. ფორმენის წარმატებათა ნუსხაში აღრიცხულია 73 გამარჯვება, მათ შორის 68 — ნოკაუტით და მხოლოდ ოთხი დამარცხება.

● **მეოცე** საუკუნის მიწურული პროფესიულ კრივში, როგორც ჩანს, ხანდაზმულთა აღზევების პერიოდია, რაც უკვე დაამტკიცა ფორმენმა და რის დამტკიცებასაც ლამობს მეორე ექსჩემპიონი მძიმე წონაში ლერი ჰოლმსი, რომელმაც ოქროს ქამარი 1978 წელს მოიპოვა და წარმატებით ატარებდა მას რვა წლის განმავლობაში, 1985 წლამდე. ახლა ჰოლმსი ორმოცდახუთი წლისაა და ცდილობს ძველი დიდების დაბრუნებას.

აპრილში, ლას-ვეგასის პოპულარულ „კრისტალ პალასის" რინგზე ლერი ჰოლმსი შეხვდება მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს მძიმე წონაში ვბს-ს ვერსიით ოლივერ მაკოლის. ჰოლმსი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ წარდგენას არ საჭიროებს მკითხველის წინაშე. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მას დამარცხებული ჰყავს სხვადასხვა პერიოდის ცხრა მსოფლიოს ჩემპიონი. სულ კი მოიგო 61 ორთაბრძოლა, მათ შორის ორმოცი — ნოკაუტით. ლერიმ თავისი არცთუ ხანმოკლე კარიერის მანძილზე წააგო მხოლოდ ოთხი შეხვედრა, ორი ქულებით ლეონ სპინქსთან, ერთხელ იგი ნოკაუტით დაამარცხა ტაისონმა და ერთხელაც ქულებით ჰოლიფილდმა.

● **გახსოვთ** ალბათ, ოლივერ მაკოლისთან მარცხის შემდეგ ინგლისელმა მძიმეწონოსანმა ლენოქს ლუისმა უარი თქვა საერთოდ კრივზე, მაგრამ ეტყობა გულმა დიდხანს ვერ გაუძლო და ისევ რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. 18 მარტს საკმაოდ დიდი ხნის შესვენების შემდეგ იგი პირველ ბრძოლას გამართავს მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს ვერსიით ამერიკელ ლაიონელ ბატლერთან.

იმავე დღეს დაბრუნდება რინგზე კიდევ ერთი დამხობილი მსოფლიოს ჩემპიონი (მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოსა და კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიებით) — მაიკლ მურერი, მაგრამ მისი მეტოქის გვარი ჯერჯერობით უცნობია.

● **მას** ხან ლეგენდარულ მოკრივეს უწოდებდნენ, ხან ყველა დროის საუკეთესო პროფესიონალს, ხან კი — დიდ არგენტინელს. 14-წლიანი კარიერის მანძილზე საშუალო წონის მოკრივემ კარლოს მონცმა 92 ბრძოლა ჩაატარა რინგზე. მათგან 89 მოიგო და მხოლოდ სამჯერ განიცადა მარცხი. თანაც 61 შეხვედრა დროზე ადრე, ნოკაუტით აქვს მოგებული. მონცი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1970 წელს და 7 წელიწადს ინარჩუნებდა უმაღლეს ტიტულს.

ახალი წლის დღეებში მისი „მერსედესი" ავარიაში მოჰყვა. დაიღუპა მოკრივე და მისი ორი ამხანაგი.

● **კრივის** საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა მჩატე წონაში ტაილანდელმა სამსონ ჯიმმა. მან მერვე რაუნდში ნოკაუტით აჯობა ფილიპინელ როლანდო პასკუას.

● **სან-ანტონიოში** (აშშ) გაიმართა ორი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის. 21 წლის მექსიკელმა ალეხანდრო გონსალესმა ოქროს ქამარი „წაართვა" მსუბუქ წონაში (მოკრივეთა მსოფლიოს საბჭოს ვერსიით) აქამდე უძლეველ ამერიკელს კევინ კელის. ეს ბრძოლა შეწყდა მე-10 რაუნდში მექსიკელის აშკარა უპირატესობის გამო. პუერტორიკოელმა ვილფრედო ვასკესმა კი დაიცვა ტიტული ქვემსუბუქ წონაში (მოკრივეთა მსოფლიოს ასოციაციის ვერსიით) ორლანდო კანისალესასთან (აშშ). გამარჯვებას ვასკესმა მიაღწია ქულებით თორმეტ რაუნდში.

● **აპრილში** იოჰანესბურგში თორმეტრაუნდიან ბრძოლას გამართავს მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი. მისი მეტოქე იქნება სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსი. სამედიცინო ექსპერტთა დასკვნით ჰოლიფილდი, რომელსაც რამდენიმე თვის წინ ტკივილები ჰქონდა გულმკერდის არეში, მთლიანად განიკურნა და პრაქტიკულად ჯანმრთელია.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. წიწორია, მ. ჯილაური.

იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების საერთაშორისო ფონდის მიერ გამოშვებული ლატარიის ბილეთების „საახალწლო სიხარულის" რეალიზაცია, მისი გათამაშება გადატანილია მიმდინარე წლის ბოლომდე. გათამაშების ზუსტი თარიღი „ლელოში" დამატებით გამოცხადდება.

## განცხადებები

**თუ გსურთ გამარჯვება მძლეოსნურ სექტორზე, საჭიდაო ხალიჩაზე, ფეხბურთის მწვანე მინდორზე, ჩოგბურთის კორტზე, საცურაო აუზში...**

... შეიძინეთ ჩვენს მიერ შემოტანილი სპორტული საქონელი — სხვადასხვა სახის ბურთები, ჩოგნები, ბუცები, კიმონოები, კრივის ხელთათმანები, კროსოვკები და ა.შ.

ეს არის მსოფლიოს საუკეთესო ფირმების „ელეიგერის", „ლოტოს", „უმბროს", „შლეზინგერის", „კინეტიქსის" და სხვათა 1994-1995 წლების უახლესი მოდელები.

ამ ფირმების პროდუქციას იყენებს იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები, სახელგანთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, შეუდარებელი კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი...

საქონელს ვყიდით შეღავათიან ფასებში (წინასწარი 20 პროცენტის გადახდით), საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მიწოდებით.

დაგვირეკეთ:
96—82—81,
99—63—48,
98—79—66.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე